საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCIS

გიორგი კოზმანიშვილი

ძმარმჟავა-ნატრიუმის მარილის (ნატრიუმის აცეტატის) გამოყენება მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის კვებაში

(რეკომენდაცია)

თბილისი
2018

ავტორი: გიორგი კოზმანიშვილი – ცხოველთა კვების მაგისტრი.

რეცენზენტი: ანატოლი გიორგაძე – აკადემიური დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერთა აკადემია.

რედაქტორი: ელგუჯა შაფაქიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

ძმარმჟავა-ნატრიუმის მარილის (ნატრიუმის აცეტატის) გამოყენება მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის კვებაში

CH_3 COONa ძმარმჟავა ნატრიუმის მარილი, იგივე---ნატრიუმის აცეტატი. მისი მიღება ხდება ძმარმჟავის და ნატრიუმის კარბონატის ან, ჰიდროკარბონატის ან, ნატრიუმის ჰიდროქსილის ურთიერთქმედებით.მიღებული
მასა წარმოადგენს კრისტალური წარმოშობის თეთრ ფხვნილს. შენახვა აუცილებელია მშრალ გარემოში. ის ასევე ცნობილია როგორც E262 საკვებდანამატი. გამოიყენება საკვები პროდუქტების კონსერვანტად. იყიდება ქიმიური რეაქტივების მაღაზიებში.

მცოხნავი ცოველის კვებაში ნატრიუმის აცეტატის გამოყენება განპირობებულია მისი დადებითი თვისებებით. კერძოდ: ძმარმჟავა ნატრიუმის მარილის შეყვანა მეწველი ფურის რაციონში, ამაღლებს რძის მშრალი ნივთიერებების (%)-ულ შემადგენლობას და აუმჯობესებს ცოველის ზოგად ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. მეხორცული ტიპის მეცხოველეობაში კი, უმჯობესდება წონამატის დინამიკა, საუთრივ ხორცის შეგენილობის დადებითი ცვლა რადგან, კუნთოვანი ქსოვილის შიგნით, ხდება ცხიმოვანი მასის ფიქსირება. დაკვლისას ხორცის (%)-ული გამოსავლიანობა იზრდება ხოლო, ხორცის პროდუქტიული ხარისხი მაღლდება.

ძმარმჟავა ნატრიუმის ფიზიოლოგიური მოქმედების მექანიზმის ზოგადი მიმოხილვა

ძმარმჟავა ნატრიუმის მარილს, ახასიათებს წინა კუჭის შიგნით ცხიმის სინთეზის უნარი. მისი გამოყენების შემთხვევაში ხდება ფაშვის შიდა სიმბიოზური მიკროფლორის სწრაფი ზრდა რაოდენობრივად.

ნახსენები მიკროფლრის მასა წარმოადგენს, მცოხნავი ცხოველის ორგანიზმისათვის მრავალი, ფიზიოლოგიურად აუცილებელი,ფუნქციური ნაერთის წყაროს. ის, დადებით ზეგავლენას ახდენს როგორც პროდუქტიულობაზე, ასევე ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე.

ძმარმჟავა-ნატრიუმის მარილი ასწორებს მაწლავშიდა მჟავიანობის მაჩვენებელს ოფტიმალურისაკენ, აძლიერება სხიმების ათვისების უნარს, ააქტიურებს პლაზმური ცილების და ზოგადად, ცალკეული ამინომჟავების სინთეზს .

რადგან ძმარმჟავა ნატრიუმის მარილში არის ნატრიუმის თავისუფალი იონი, ამის ხარჯზე, ხდება ღვიძლის ფუნქციის გააქტიურება. აღნიშნული ფუნქცია კი სტიმულიაციას უწევს თირკმელების მოქმედების გაზრდას. ნატრიუმის თავისუფალი იონის ხარჯზე ასევე,ხდება ნაწლავის ლორწოვანი გარსის ქიმიური შემადგენლობის გაუმჯობესება. ამის გამოკი, ხდება ნაწლავშიდა ოსმოსური წნევის ოფტიმიზაცია. აღნიშნული მოვლენების ერთობლიობა ხასიათდება ზოგადი ფიზიოლოგიური უკეთესობით, ცხოველის მიერ საკვების კონვერსიის გაზრდით .

ძმარმჟავა-ნატრიუმის მარილს ასევე ახასიათებს ორგანიზმის ელექტროლიტური ბალანსის მოწესრიგების უნარი. ელექტროლიტური ბალანსის გამოსწორების შედეგად ხდება, ორგანიზმის შიდა წყალის ფუნქციის გაზრდა. ამიტომმაღლდება რა წყალის სატრანსპორტო ფუნქცია, ხდება ნივთირერბათა

მიმოცვლის ამაღლება, ასევე... ორგანიზმის ზონებრივი ტემპერატურის გათანასწორება და მისი რეგულირების სასარგებლო ნიშნულის ადვილად მიღება.

ასევე... პერიფერიული ექსუდაციის გაზრდა, რის გამოც მაღლდება რეზისტენტობის ზოგადი მაჩვენებელი.

ძმარმჟავა-ნატრიუმის მარილი,წარმოადგენს რა ბუნებრივ მეტაბოლიტს---ის ეტიოლოგიურ, სასარგებლო ზეგავლენას ახდენს სუბკლინიკურიკეტოზის და ცურის ლატენტური აციდოზის დროს.

ახასიათებს რა საკვების მონელების გაუმჯობესების და მისი კონვერსიის, გაზრდის ფუნქციები ---ნატრიუმის აცეტატი წარმოადგენს საჭირო საკვებდანამატს.რადგან დღევანდელი ცხოველთა კვების პრაქტიკიდან გამომდინარე, არხდება რა ქვეყანაში, ცხოველთა ნორმირებული კვება, ხშირად ვაწყდებით ცხოველთა კვებაშისაკვების მონელების დარღვევებს,ამის შედეგად კი ხშირია ფაშვის ფუნქციის დაქვეითება, ამოცოხვნის უნარის შესუსტება, წიგნარა/ბადურა/ მაჭიკის ფიზიოლოგიური ცხოველქმედების დაქვეითება.

ძმარმჟავა-ნატრიუმის მარილისგამოყენებისასკი, ძლიერდება ორგანიზმის საკვების მომნელებელი ორგანოების სეკრეტორული ფუნქცია, სტიმულირდება მისი მექანიკური მოქმედების უნარი და ცხოველი უკეთესად უმკლავდება არაკონდიცირებული საკვების გადამუშავებას. მას უმცირდება ფაშვის ატონიის პრობლემა. ჩამოთვლილთა შედეგად---მცირდება ცხოველის ფიზიოლოგიური სტრესი.

ფერმერ, მარგარიტა თევდორაძის ფერმაში, ჩატარებული ცდების შედეგდ, ათი მეწვწველი ფურის მიერ, ადრე მიღებული ყოველდღიური მონაწველი 110ლიტრი რძე გაიზარდა 155 ლიტრამდე.

მაგრამ, მთავარი არის ის რომ, თვითოეული ლიტრი რძის ქიმიურ შემადგენლობაში, მშრალი ნივთიერებების ხვედრითი წილი ამაღლდა 7 %-ით ხოლო, ცხიმიანობის მაჩვენებელი შეიცვალა 3,4%-დან 4,7% მდე.

ძმარმჟავა-ნატრიუმის საკვებში მიცემის ნორმები

- მერძეულ მიმართულებაში.....

ყოველ 100კგ საკვებზე საჭიროა 50 გრამის დამატება.

როდესაც გვაქვს ცხოველის ამოცოხვნის პრობლემა, ამ შემთხვევაში---ყოველ 100კგ ცოცხალ წონაზე მიეცეს 150 გრამი საკვებთან ერთად. 15-20 დღის გამნავლობაში.

- მეხორცული მეცხოველეობისათვის

ყოველ 100 კგ ცოცხალ წონაზე 50-70 გრამის ოდენობით... ყოველ დღიურად.